



საქართველო

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N 46 53

05/08/2015

თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის თანხმობის მიცემა თერჯოლის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში არსებული 46,7 მ² II -ე ხარისხის მერქნული მასალის ა(ა)იპ თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრისათვის გადაცემის თაობაზე

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს 2015 წლის 09 ივლისის №481-ე ბრძანებით თერჯოლის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადაეცა 46,7 კუბური მეტრი II-ე ხარისხის მერქნული მასალა, როგორც დამატებითი ქონება, რომელიც დასაწყობებულია ქალაქ თერჯოლის რუსთაველის №142-ში. აღნიშნული ხე-ტყით უნდა მოხდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღების მომავალი ზამთრის სეზონისთვის მომარაგება .

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-3 ნაწილისა და 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგებელს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს 2015 წლის 09 ივლისის №481-ე ბრძანებით თერჯოლის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადაცემული 46,7 კუბური მეტრი ხის მასალის ა(ა)იპ თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრისათვის გადაცემის თაობაზე.

მუხლი 2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგებამ უზრუნველყოს განკარგულების პირველ მუხლში აღნიშნული 46,7 კუბური მეტრი ხის მასალის ა(ა)იპ თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრისათვის გადაცემა.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში კანონით დადგენილი წესით (მისამართი: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ.№7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ავთანდილ ჩუბინიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო